# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია 'ში, აგჭალის ქუჩაზედ, გარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



ქაგატო მანუჩარის ასული ჯანოევისა, დავით და იაკობ ივანეს ძენი ჯანოევები, ნატალია ივანეს ასული ჩარექოვისა, კეკელა ივანეს ასული ტერ სიმონოვისა, სოფიო ივანეს ასული აკოფოვისა და სტეფანე ფარსადანის ძე ბრძელოვი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა: პირველი მეუღლისა, მეხუთე პაპისა და სხვები მამისა თვისისა **ივანე დავითის ძის ჯანოევისას**,—და სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ დასაფლავებაზედ, რომელიც არის დანიშნული 10 ოქტომბერს სოფელ ალში, თვის საკუთარ ეკკლესიის გალავანში; გარდაცვალებულს გამოასვენებენ თვის საკუთარ სახლიდგან დილის 10 საათზედ.

(1—1006—1)


ჟურნალ „**მოამბეს**" განცხადება იხილე მეოთხე გვერდზე.

ჟურნალ „მოამბეს" განცხადება იხილე მეოთხე გვერდზე.

დღეს, 10 ოქტომბერს, საღამოს ლოცვის შემდეგ, რომელიც ნაშუადღევის 4 საათზედ დაიწყება, და შემდეგ ყოველ კვირა დღეს მის მაღალყოვლად-უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის სასახლის ეკკლესიაში გაიმართება ხოლმე სასულიერო ლექციები ქრისტიანულის წესით ყმაწვილების აღზრდის შესახებ.

(1—6—1)

სამშაბათს, 12 ოქტომბერს, დანიშნულია კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა.

საგანი კრებისა:

ა) მორიგი საქმე (კრებათა დანიშვნისა და სხვა საქმეთა შესახებ, რომლებზედაც ლაპარაკი ჰქონია საზოგადოებას ზაფხულის ვაკაციებამდე და სხვ.) ბ) განხილვა ბ-ნ ტიმოფეევის მოხსენებისა „ბაქოსა და განჯის გუბერნიებში ძირტკბილას მოყვანის შესახებ".

კრებას არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

## ტფილისი, 9 ოქტომბერს

—

კარგა ხანია, რაც ბატონმა ალექსანდრე როინაშვილმა შესწირა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" თავისი ძვირფასი მუზეუმი.

ბატონს როინაშვილს, დიაღ, დიდი შრომა და ღვაწლი უნდა ჰქონდეს გაწეული იმ მშვენიერის ნაწარმოებისა და ძველ ნივთების მოსაკრებად, რომელიც ამ საპატიო კეთილმა კაცმა უძღვნა საზოგადოებას.

ამ მდიდარს შემოწირულობაზე, რომელიც 50,000 მანეთად ღირს, ჩვენ ეხლა მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ბატონმა როინაშვილმა ჩაჰყარა მტკიცე საძირკველი დიდისა და სახელოვანის საქმისა. მან დაამტკიცა, რომ ღმერთს უხვად მიუნიჭებია მისთვის ძვირფასი და წმინდა გრძნობა. ამ გრძნობას ეწოდება—ერის ერთგულება, ქვეყნის სიყვარული.

მაგრამ „წერა-კითხვის საზოგადოებამ" აქამდინ ისიც-კი ვერ მოახერხა, რომ გამოართვას ბატონ როინაშვილს მის მიერ ნაჩუქარი განძი. ვერ მოახერხა იმიტომ, რომ შესაფერი ბინა ვერ უპოვნა, და ეს ნივთები ისევ შემწირველს აბარია. ბატონი როინაშვილი არ სჯერდება იმ კოლლექციას, რომელიც მან უძღვნა საზოგადოებას; იგი ჰფიქრობს შეუდგეს კვალად მოგზაურობას და ბევრი სხვა ძველი ნივთი და განძი შეაგროვოს იმავ „საზოგადოებისათვის" გადასაცემად.

მაგრამ ამ მშვენიერის განზრახვის შესრულებას აბრკოლებს ის გარემოება, რომ ბ-ნ როინაშვილს მუზეუმის თავის დანებება ვერ გაუბედნია, რომ ნივთებს რაიმე უბედურება არ დაატყდესეს.

ეხლა ჩვენ შევიტყეთ, რომ „წერა-კითხვის საზოგადოებას" განუზრახავს მუზეუმის შენობის აგება შესაფერ ადგილას, რამდენისამე პატივცემულ ქართველის დახმარებით.

ამ შენობაში იქმნება მოთავსებული მთელის საქართველოს საარხიტექტურო, საისტორიო და საარქეოლოგიო ნაშთნი და განძეულობა. აქვე ექმნება ბინა თვით «საზოგადოების» წიგნთ-საცავს და ხელ-ნაწერებს. აქვე გადმოტანილ იქნება ბატონ როინაშვილის შეწირული ნივთებიცა. ხოლო საჭირო ალაგიც ამ ქართულის მუზეუმისათვის, როგორც გვესმის, შეწირული იქნება ერთის პატივცემულ ქვეყნის გულ-შემატკივარ ქართველისაგან. ამასთან, ეს საპატიო კაცი, გარდა იმისა, რომ ასეთ უხვს შეწირულობას უპირობს სამშობლო ქვეყანას, იგი თითონ დიდად განვითარებული, განათლებული და ხელოვნების მოყვარულიც ყოფილა. ამ ჩვენის ქვეყნის შვილს მოუსურვებია გეგმა სამუზეუმო შენობისა ევროპაში საუკეთესო არხიტექტორებს აჩვენოს და იმათთან ერთად შეიმუშაოს მუზეუმის მოდელი.

ამ სახით, ორმა ქართველმა კაცმა დასდეს საფუძველი ქართულის ხელოვნების ტაძრისა, რომელიც იქნება მჭევრ-მეტყველი მოწმე ამ საპატიო გვამთა ქვეყნის ერთგულებისა და უანგარო მამულიშვილობისა.

ჩვენ განსხვავებულის სიამოვნებით აღვნიშნავთ ამ შემთხვევას. იმედი გვაქვს, რომ ქართულის მუზეუმის აგება მტკიცე და საფუძვლიან ნიადაგზეა დღეს.

მაშინ, როდესაც ორი ქართველი კაცი სწირავს და უძღვნის ქვეყანას ასიათასს მანეთს, არა გვგონია, რომ დანაშთენ ჩვენ თანამემამულეთ გულ-ხელი დაიკრიბონ და თავისი წვლილი არ შესწირონ ამ დიდს და საშვილიშვილო საქმეს!

მეველე

## ახალი ამბავი

—

*** როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ 6 ოქტომბერს დაიწყო გარჩევა საქმისა აზნაურის ქალის ბებია ევგენია ვასილის ასულის სიმპლიცკაიასი და მეორე გილდის ვაჭრის შვილის ლეიბ ხაიმის ძის გერმანისა, რომელთა შორის პირველს ბრალდებოდა, რომ განზრახ მუცელი წაეხდინა ეკატერინე ივანოვისათვის, რომელიც ამის გამო გარდაიცვალა, და უცნობის ქერა ქალისათვის, თვით იმათისავე თანხმობით, ხოლო მეორეს—საშუალება მიეცა ეკატერინე ივანოვისათვის მუცლის წასახდენი და სიმპლიცკაია შეეგულიანებინა ამ საქმის ჩასადენად. ამ საქმისათვის 50-მდე მოწმე და ექსპერტი იყო მოწვეული სასამართლოში, რომელმაც გარეშე ხალხის დაუსწრებლად განიხილა ორივეს ბრალდება. სასამართლოს წარმოებამ ამ საქმის გამო 3 დღეს გასტანა. გუშინ-წინ, 8 ოქტომბერს, საღამოზედ ბრალდებულთა ვექილებმა და ბრალმდებელმა დაიწყეს ლაპარაკი და შუაღამეს გადაცილებული იყო, რომ დაამთავრეს. ამის გამო განაჩენის დადგენა სამეორე დღეოდ იქმნა გადადებული. გუშინ, 9 ოქტომბერს, მსაჯულნი დილის 8 საათზედ გავიდნენ სათათბიროდ და ნაშუადღევის 2 საათზედ შემდეგი განაჩენი გამოიტანეს. ბებია ე. სიმპლიცკაია და ლ. გერმანი გამართლებულ იქმნენ,

## ფელეტონი

—

### გაბრიელის დღიური

V

ვერ წარმოიდგენთ რა საკვირველი საქმე მოხდა. თქვენთვის თუ იქნება ეს ამბავი საკვირველი, თორემ მე არაფერი მიკვირს ქვეყნიერობაზე, ცხოვრების ჩემებურმა ბეჩაურმა დაკვირვებამ ნამდვილ ფილოსოფოსად გარდამქნა. აღარაფერი მაჩქარებს, აღარაფერი მზარავს, თუნდა მზარავდეს, სახეზე ამის ბეჭედი არ მეტყობა. ტყუილად დამაცქერდებით ცნობის მოყვარე თვალებით: დაიცა გაბრიელ რას ჰფიქრობსო; ტყუილად, ძმობამ. პირის კანი მღელვარებას შაეჩვია, შაეჩვია იქამდის, რომ გაშეშდა, გაქვავდა: ნაღველი შიგნით გულში დუღს უხმოდ, ჩუმად და თავშესაფარსაც იქვე ჰპოვებს... ზოგი ადამიანის პირით გაგონილი, ზოგიც გაზეთებიდამ ამოკითხული:

გამოიცვალა ქვეყანა
დანდობა აღარ არიო,
მგელი თხას კარზე მისულია:
„თხაო, გამიღე კარიო.
ის აღარა ვარ ხომ იცი,
გამოვიცვალე ტყავიო,
ანგელოზს დამსგავსებული
მშვიდი ვარ როგორც კრავიო,
ეხლა სიყვარულს მიმღერის
ჩემი გონება ცხარიო.
მიყვარხარ დიდი ხანია,
შევქმნილვარ ცოცხალ-მკვდარიო;
ამ ცეცხლს ვერ დაჰშრეტს, დაასხა
არაგვნი ერთად მტკვარიო.
მსურს შენზედ, ჩემო ლამაზო,
რომ დავიწერო ჯვარიო.
შენ თხა მეუღლე მექნები,
მგელი გექმნები ქმარიო.
ჩვენ რომ შეუღლილთ გვნახავენ,
იცეკვებს მთა და ბარიო...

გიკვირსთ? არ მიკვირს, არა. აღარაფერი არ გამიკვირდება-მეთქი, აკი ზევითაც მოგახსენეთ. რად უნდა გამიკვირდეს, რომ მგელმა თხას სიყვარული გამოუცხადოს და საცოდავი წვერებ-ცმაცუნა კიკინა დააჯეროს, რომ მართლა მგელს უყვარს იგი,—კვდება მის სიყვარულით, ედება გულზე ცეცხლი...

არც ეს გამიკვირდება და არც ისა, რომ ქორი მიფრინდეს ქათმებთან და ალერსიანად დაუწყოს საუბარი, თორმეტ სახარებაზე დაიფიცოს, რომ მე თქვენი ერთგული ვარ, არაფერს გავნებთ, არ გაზარალებთ და ძმად გამიფიცეთო. შეიძლება ქათმებმაც დაიჯერონ და ენდნენ ქორსა. არ არის საკვირველი.

—

გაზეთებში იწერებიან კახეთის დამშევას. ან ეს რა გასაკვირია? ყველა სოფელში ბლომად მოიპოვება ლოქო-ფაჩეები, იმათ საკუთარი ზეღლები მოეპოვებათ და სოფლის მოსავლის ორ მესამედს მაინც ისინი ინარჩუნებენ, აგროვებენ თავისთვის. უცდიან დროს, რომ ორ აბაზად დამჯდარი კოდი პური ხუთ-ექვს მანათად გაასაღონ ისევ იმათზე, ვისგანაც ორ აბაზად და ათ შაურად დაისვეს. ჩვენი სოფელი ისე დავთარ დაკარგული, გზა-კვალ არეულია, რომ რას არ ჩაიდენს იქ კაცი თუ-კი ღმერთზე და ნამუსზე ხელი აიღო. როცა ეს ვიცით, რად უნდა გამიკვირდეს, თქვენ მიბძანეთ, სოფლის ყლაპიების ხრიკები და ოინები ამასთან ამ ოინბაზობის შედეგი.

არც ის მიკვირს, რომ სოფელს ხელ-მძღვანელი, გზის მაჩვენებელი არავინ უჩნდება. დიაღ, არ მიკვირს, რადგანაც ყველა თავის მუცელს ჩაჰხარის, თავის ჯიბის გასუქებას ცდილობს. ვისაც რა უსწავლია და სოფელში მომწყვდეულა, ისიც ვეღარა ჰბედავს, სხვასაც რამ გაუზიაროს თავის სწავლისა, აზრი რამ დანერგოს სოფელში. ნაცვლად ამისა რჩეობს იგი ამას: „დალიე, დამალევინე, სულინუ დამალეინე". ლოთობს ისიც და ლოთიბაშობს. ეს ასეც უნდა იყოს და იმიტომ აღარ მიკვირს.

—

გაიძახიან: ცოლ-ქმარს შორის ღალატი გახშირდაო, ასში ერთი აღარ მოიპოვება ქმრის ერთგული ცოლიო, წინათ ასე არა ყოფილა, ცოლი თავის მოკვლას არჩევდა, ვიდრე ქმარს უღალატებდაო. აბა, ეს რადღა უნდა მიკვირდეს? წინანდელი მამაკაცი და ეხლანდელი ერთია: ჰკლავ სისხლიანი და ხმალ სისხლიანი ბიჭი და ეხლანდელი გაპუდრული „შახერმახერი" ჯენტლმენი ერთნაირად მიიზიდავს ქალის გულსა, თქვენვე მიბძანეთ? რა თქმა უნდა, არა. ქალს ძალა უყვარს, ძალას ემორჩილება. ეხლანდელი მამაკაცი რაღა მამაკაცია, ვერაფერში ვერ იჩენს ძალას, ისე საყვარელს და ქალის გულის მიმზიდველს. მამაკაციც მოდედლდა და დედლის სიყვარულს დედლისადმი ვინ ჰკუათა მყოფელი ადამიანი ჩასთვლის ნამდვილ სიყვარულად?

—

არც ეს მიკვირს და არც ის გამიკვირდება, რომ დააცემინო ცხვირსა და იქვე ხელად შენმა თანამოძმემ ხელ-და-ხელ შეგნიშნოს, მოგაძახოს პირ-ქაფიანმა: „ორგულო, ქვეყნის მოღალატევ"!

— რადა, ძმობილო?! ეკითხებით ამ თავ-ხედს ადამიანს.

— იმიტომ, რომ შენ ცხვირს ქართულად არ აცემინებ, გიპასუხებს იგი და ზურგსაც შემოგაქცევს. ეს არ მიკვირს და ის-კი მიკვირს, ყველგან ღალატი რად ეჩვენებათ ამ გვარ ვაჟბატონებს, რადა ცდილობენ დააწვინონ ბუზი და ხელად აქლემი აშობინონ. ეს-კი მიკვირს და ძალიანაც მიკვირს.

—

არ მიკვირს, რომ მგოსანმა, პოეტმა, შურიანობა და ჰორტიკობა დაიწყო, თუმცა ყველამ ვიცით, რომ მგოსანი უნდა სიწმინდისა, სიმართლის წყაროდ მომდინარებდეს და მადლითა ჰრწყავდეს ადამიანის გულგონებას. რად არ მიკვირს, თუ იცით? იმიტომ, რომ დასწყევლა ღმერთმა, ბუნების კანონი, ადამიანის ხასიათია, მე ვიყო და სხვა ნულარაო. მგოსნობა ჩვენში თანდათან ლუკმას იძლევა და, მაშასადამე, მგოსანთაც

ქვრივს ნადეჟდა ივანოვისას, რომელიც ქალის სიკვდილის გამო ზარალსა თხოულობდა, უარი ეთქვა ზარალის მიცემაში.

⁂ ჩიკაგოს გამოფენაზედ ჯილდო მიუღია საიმპერატორო სანავოსნო საზოგადოებას, რომელსაც სხვათა შორის წარუდგენია ხელოვნებათა განყოფილებაში ფოთის ნავთ-სადგურის რუკა, შავროვის მიერ შედგენილი.

⁂ ტფილისის პოლიციმეისტერი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ „ივერიის" გუშინდელს ნომერში დაბეჭდილი ამბავი კავკასიის მთავარ-მართებელის გენერალ-ადიუნტანტის შერემეტიევის ხაშურში წასვლის შესახებ შეცდომაა. ბ-ნი მთავარ-მართებელი ტფილისში ჩამოვიდა ოქტომბრის 7-ს და მას შემდეგ აღარსად წასულა.

⁂ მ. შარაძისა და ამხანაგობის სტამბას კიდევ მოუვიდა ბ-ნ ფილიმონ ქორიძისაგან ბ-ნ ანტონ დუმბაძისა და იმის შვილის მ. დავით დუმბაძის დახმარებით ნოტებზე გადაღებული რვა ნაჭერი საგალობელი.

⁂ მკითხველებს ეხსომებათ, რა მდგომარეობაში ჩაჰყარა ვერის მემამულე ვალანიანცმა თავისი იჯარადარნი, რომელნიც დასახლებულან მის მიწაზედ: ან ამდენი და ამდენი ფული მომეცით იჯარა, ან-და გადასახლდით ჩემის მამულიდგანაო. სასამართლომაც ასეთივე განაჩენი დაუდგინა უბედურ იჯარადრებს. ადმინისტრაცია ჩაერია, ეგებ როგორმე სახელმწიფომ შეისყიდოს ვალანიანცის მიწა და იჯარადრები თავის ადგილზედ დასტოვოს, მაგრამ ეს საქმე ჯერ არ გადაწყვეტილა და ამათ-კი ვადა გაუთავდათ. ეხლა ჩვენ გვატყობინებენ, რომ ვერისავე მემამულე ბ-ნი სვიმონოვი აძლევს უფლებას ამ იჯარადრებს გადაიტანონ თავიანთი შენობანი მის მამულზედ იმ პირობით, რომ მიწის ქირა აძლიონ წლიწადში საჟენზედ ხუთი შაურიდგან ორ აბაზამდე, იდგნენ ექვსი წელიწადი და ამ ვადის შემდეგ ან შეისყიდონ მიწები იმ ფასებში, რა ფასებიც ექმნება 6 წლის შემდეგ ახლო-მახლო მიწებს, ან არა და კვლავ 6 წლით შეეკრან ახალის პირობით და მანეთში ორი შაური მოუმატონ იჯარა. ამბობენ, რომ იჯარადრებმა სიხარულით მიიღეს ეს პირობა.

## ხალხური ლექსი

(ჩაწერილი მეთვალყურეს-მიერ)

ბარელმა უთხრა მთიულსა:
— გიძახდით მამლის ყიულსა,
მტრის ჯარი შემოგვეხვია,
მარტოდ ვებრძოდი წყეულსა,
— გავიგეთ თქვენი ყივილი,
ქვე გავექანეთ ხვეულსა,
გადაუჭერით ყელები
მტრებსა გაქცეულთ—ძლეულთა.
ყველა ტიალათ გავმუსრეთ
სისხლში ვარჩობდით წყეულთა.

## კორესპონდენცია

—

**ზეგანი.** მთელ ზეგანში აი რა სოფლებია, ქართველთა-მიერ დასახლებული:

1, ბაკო. 8 კომლი. ამ სოფლის გვერდით წიფნარის მთა სდევს, მერე ურემის მთა მისდევს და იმას იქით ფოცხოვი დაიწყება, ყარსის საგუბერნატორო ადგილები არტაანისა.

2, თხილვანა. 30 კომლი. ამას ზევით არის ხირხათის ციხე. ხირხათის ციხე დღევანდლამდე მთლადა სდგას. 1888 წ. აქ მოსკოვის არხეოლოგიურის საზოგადოების ბრძანებით, ადგილები დასთხარეს და შიგ ძველ ნივთებს ეძებდნენ, მაგრამ ვერაფერი ჰპოვეს. სურათები-კი გადაიღეს. აქ იწყება სხალტის მდინარის სათავე.

3, სკვანა. 15 კომლი.

4, ხუხამირი. 10 კომლი. აქ არის ნაეკკლესიარი. ამას წინად ორი ქვის ჯვარი იპოვნეს.

5, ოშთახევი. 3 კომლი. 2 კომლი გადასახლდა ოსმალეთში. ზოგნი ამბობენ, რომ ეს სახელი უშნო ხევისაგან გადაკეთდაო.

6, კალოთა. 20 კომლი. ამ სოფლის მთაზე პატარა ეკკლესიის ნანგრევია. ჭერი ჩაქცეულია.

7, ფუშრუკაული. 15 კომლი.

8, რაქთა. 10 კომლი. აქ ყოფილა ძველად ფართო ეკკლესია.

9, ვერნები. 15 კომლი. აქ ორის ეკკლესიის ნანგრევია, რომელზედაც ერთ გლეხ-კაცს სახლი გაუკეთებია. ამ ერთის თვის წინად ამ სოფელში ქვედა-აჭარის უფროსმა პატივცემულმა გიორგი ალექსანდრეს ძე ბერიძემ ერთი დიდი თლილი ქვა იპოვა ხუცურის წარწერით. წარწერები გადაღებულ არის და ქვა შენახულ.

10, მაღლაკური. 5 კომლი. ამ სოფლიდგან ძველად, გათათრების დროს, იმერეთში გაქცეულან მაღლაკიძენი, მღვდლის შვილნი.

11, გვატია, 20 კომლი. აქაურებს ძველად თოფის და დამბაჩის კეთება სცოდნიათ, ამით გათქმულნი ყოფილან; ეხლა-კი ეს ხელობა დაცემულა. ამ ხელობის გამოჩენილი უკანასკნელი ოსტატი შარშან მომკვდარა. ამ სოფლების შემდეგ მიჰყვება სხალტის ხეობა, მაჭარეთის მთებით, ბილუტის, კორეიზის და ფორჩხის მთა.

12, წაბლანა. 30 კომლი. წაბლის ხეებისაგან დაერქვა ეს სახელი. პატარა ეკკლესიის ნანგრევი ქვებია დაშთენილი.

13, ფორჩხა. 15 კომლი. მთაზედ ხოდაბუნს ზევით ეკკლესიის ნანგრევი ქვები ჰყრია. ფორჩხას ვახუშტიც ახსენებს, მაგრამ ის ფორჩხა ლივანაში სძევს. ეს სხვა არის.

14, გორგაული. 10 კომლი. ამ სოფლის ახლო სხალტის ხეობის წყალზე ხიდი ყოფილა, რომელსაც თამარ-მეფის ხიდს უწოდებენ.

15, ჭერი. 15 კომლი. ამის ახლოს სდგას სხალტის ტაძარი.

16, ყინწაური. 12 კომლი. 5 კომლი გადასახლებულა. აქ ქართველნი დიდის ტანჯვით გაუთათრებიათ.

17, ძმა-გულა. 10 კომლი. სჩანს ეკკლესიის ნანგრევი.

18, ზასმარო. 5 კომლი. ეს სოფელი, ახლად გაშენებულა. დასავლეთით ნენია ფუსტიოს ხეობა მოსდევს შემდეგის სოფლებით:

19, ფუსტიოს. 40 კომლი. სჩანს ნაეკკლესიარი. ესენი დიდხანს დარჩენილან ქრისტიანებად, ამ სოფელში არის ერთი ძველი ქვევრი, რომელშიაც 300 ჩაფი ღვინო ჩადის თურმე.

20, მჭედრული. 8 კომლი. ძველათაც პატარა სოფელი ყოფილა და შეუნიშნავი. ნასაყდრალი აქაც არის.

21, თათრულნი. 10 კომლი.

22, ზუთურაული. 20 კომლი. ამ ორს სოფელს შუა ნასაყდრალია.

23, ნენია. 40 კომლი. ეკკლესიის ნანგრევები დღევანდლამდის სჩანს.

24, გუნდარა. 30 კომლი. არის ნასაყდრალი.

25, ორთა მჭედე. 15 კომლი.

26, ოქროპარული. 10 კომლი. ამ ორ სოფელს შუა არის ერთი ძველი ციხე, რომელსაც აქაურნი „ყალე ბოინს" უხმობენ. ეს ციხეც თამარ-დედოფალს გაუკეთებიათ.

27, დაბა მეელი. 10 კომლი.

28, ზერსენაული. 15 კომლი.

29, ყაიბაში. 20 კომლი. ამ სოფელს ძველად სხვა სახელი ჰქონია, რასაკვირველია, ქართული, ყაიბაში ოსმალურია. ეკკლესია ჯამედ გადუკეთებიათ.

30, კოლოჩნარი. 10 კომლი. ამ სოფლის ახლოს არის კავიანის ციხე, თამარ მეფის ნაშენი. მთლად სდგას.

31, გორხანაული. 15 კომლი. ამ სოფელს ახლო, კავიან ციხის ცოტა ზევით, აჭარწყლის ნაპირას, თბილი გოგირდის წყარო არის. აქ ბანაობენ ქარებიანი ავადმყოფნი და მალე იკურნებიანო. სვამენ კიდეც, მაგრამ წყარო ოხრად არის დატოვებული.

32, კებული. ამ სოფლის ცოტა ზემოდ გადმოვლენ და ერთათ იყრება ზეგანის ყველა ადგილების ხევები და წყლები. აჭარის წყალს აქ უერთდება ტბეთის და მირატის ხეობა თავის წყლებით. მირატისა და ტბეთის ხევი სხალტის გვერდით სძევს, აღმოსავლეთით, მარჯვნივ.

ხალხის ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულება აქაც ისეთივეა, როგორც სხვაგან, მხოლოდ აქ უფრო მყუდრო ადგილებია, ხევ-ღრანტე-მთიანები, სულ ტყით შებურული. ამ ტყეებში ბევრია: ბზა, წიფელა, სოჭი, ნაძვი, კატარი და სხვანი, ხილიც ბევრია. ყველა ამ ადგილებში ქართული ენა სუფევს. ამ ხეობის გვერდით დაიწყობა შავშეთ-იმერხევის მაღალი მთები. ამ მთებს იქით სდგას ტბეთის დიდი ტაძარი.

ზ. ქ.

(შემდეგი იქნება)

## რუსეთი

პროფესორ ნ. კარეევის თაოსნობით პეტერბურგში დაარსდა ბიურო, რომელსაც საგნადა აქვს დაეხმაროს ღარიბ სტუდენტებს სხვა-და-სხვა გაკვეთილებისა და ესეთ საქმის შოვნაში, როგორც მაგალითად: ქაღალდების გადაწერა, კორექტურა, ანგარიში, სტენოგრაფია და სხვ.

—

მოსკოვის ბირჟის საზოგადოება და ნიჟნი-ნოვგოროდის „სრულიად რუსეთის" ვაჭარნი სთხოვენ მთავრობას, რომ ყოველი ახალი პროექტი, რაც-კი მათ ინტერესს შეეხება, ჯერ იმათ გარდაეცეს ხოლმე განსახილველად.

—

სარატოვის მეურნეთა კრებაც შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ პროექტი სახელმწიფოს-მიერ მოსავლის სეტყვისაგან დაზღვევისა ჯერ გადაეცეს სამოქალაქო და საერობო დაწესებულებათ, რათა თავიანთი აზრი წარმოსთქვანო.

—

პეტერბურგში მანეთიანი ვერცხლის ფული ისე ბევრი შეგროვდა, რომ მოხელეებს ჯამაგირში ქაღალდის ფულის მაგიერ ვერცხლის ფულს აძლევენ.

—

---

შორის, რადგანაც ისინიც ადამიანნი არიან აღძრავს ბრძოლის სიცოცხლისათვის ქიშპს, ჯიბრს, გამოიწვევს ერთი სიტყვით რომ ვსთქვათ „კონკურენციას." რომელიც კაი მგოსანია, იმას მეტი სახელი, მეტი პატივისცემა ექნება და მეტიც შემოსავალი და პატარას პატარა სახელი და პატარა სახრავი. მაშასადამე ხელ-მისატანი უფრო სიდიადეა, ვიდრე, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, „სიმცირიადე." შური ყველასაგან გმობილია, რადგან იგი სხვა სულის თვისებათა მომასწავებელიცაა. ასე რომ შურიანზე შაიძლება იწინასწარმეტყველოს კაცმა, თუ შურიანს შურთან ერთად ხასიათის სიმტკიცეც მოსდევს რა და რა საქმეს ჩაიდენს. შური მგოსნობის ნიჭს მოსწამლავს, მოჰკლავს, ამოჰრეცხს, ამოაშრობს გულიდამ აღმაფრენელს გრძნობას, ურომლოდაც მგოსანი აღარაა ჩემის ფიქრით და შეიძლება-კი რომ ნამგოსნარი დაერქვას.

შური და მგოსნობა ერთმანერთის გამაქარწყლებელია, როგორც ცეცხლი და წყალი. დაასხით ცეცხლს წყალი რა დაგრჩებათ ბოლოს?— აფშრუკული ნაცარი და ნახშირი. აღარსად ცეცხლი, აღარსად წყალი. მიკვირს, როცა მგოსანს გულში შური შაეპარა, რაღდა უნდა მგოსნობდეს იგი, რაღაა მისი მგოსნობა? საბუდარი ბოროტებისა, როგორღა გამოსცემს ნათელს?! მაგრამ... მაგრამ იცით რა? ნახშირს ხან-და-ხან ნაპერწკალი რომ მოჰხვდება, ცეცხლად გაღუვდება ხოლმე, თუმცა ამისთანა ცეცხლმა „უგარი" იცის და შორს თუ არ მოარიდეთ ცხვირი, თავის ტკივილს ვერ გადურჩებით.

—

მეჯავრება საზოგადო საქმეში როცა პიროვნება ჩაერევა, პირადი წადილი,—სიყვარული, ან სიძულილი. როგორ არ უნდა მეჯავრებოდეს დამნაშავე, განზრახ ბოროტების მომქმედი. იცის კარგად, სხვა უნდა დაიტანჯოს, მაგრამ ამ სხვის ტანჯვას იგი ბაიბურად არ ივლებს. სხვისა მტანჯველი საზიზღარი ქმნილებაა, მით უმეტეს ადამიანი.

პირადი სიძულილით და სიყვარულით გამსჭვალული მოღვაწე უფრო მეტად საზიზღარია, მეტად მაზარალებელი, მავნებელი, რადგან იგი საზოგადოების მტერია, საზოგადო საქმის დამარღვეველი... არც ეს მიკვირს, რადგან აქ საკვირველს არაფერსა ვხედავ. ასე რომ არ იყოს, ხომ ჩვენი საქმე კარგად წავიდოდა და ბეჩავის გაბრიელის ბეჩავი გული ხომ არ მოკვდებოდა. შევკურებ შორიდამ ამ ჯურა ადამიანებს და ჩემთვის ვლაპარაკობ ჩუმად გულ-გულში: „საწყალო, საწყალის ტვინის და საწყალის გრძნობის პატრონო ადამიანო!" თავი მებეჩავებოდა დღეს აქამომდე და ეხლა ცოტა მაღლა შემიძლიან ავიხედო, რადგან ჩემზე ბეჩავი მრავალი სხვა ყოფილა, როგორც ვხედავ. დიაღ, მაღლა შემიძლიან ავიხედო, მაგრამ ვაი ამისთანა ახედვას; თვალთაგან ცრემლი ჩამომდის, მწარე ცრემლები, რომლებიც ჰიანჭველად იქცევიან და დაცოცავენ ჩემს ოთახში. ტკბილეულობა სახლში ველარაფერი შემინახია: შიგ ირჩობენ თავსა.

—

წუხელი საკვირველი სიზმარი ვნახე. ჩემს ცხოვრებაში მაინც ბევრი რამ არის საკვირველი. წუხელ გამომეცხადა ანგელოზი. საკვირველი მეტი-და იქნება, გაბრიელი და ანგელოზი?!.. დიაღ, გამომეცხადა და ერთი რაღაც საკვირველი სიპის ქვის მსგავსი დამიყუდა თვალებს წინ. ეს სიპი სწორედ ერთს იმათგანსა ჰგავდა, რომელზედაც ათი მცნება ეწერა და მოსემ მიიღო უფლისაგან სინაის მთაზე. ფიცარი ათას ფრად იყო დახაზულ-დაჭრელებული. ეს შენი გულიაო, სთქვა ანგელოზმა,—წაიკითხე და იცანი თავი თვისიო. მე დავიწყე კითხვა მოწიწებით. თავში ეწერა: „გული კაცისა"; ჩავყევი კიდევ ქვევით და მრავალი სხვა წარწერებიც შემხვდა. მაგალითად შემდეგი: „უდარდელობა და სიმკვირცხლე". ეს წარწერა ძლივს-ღა ეტყობოდა. სჩანდა, რომ ყმაწვილობის დროის აღმნიშვნელი იყო. შემდეგ: „ოცნება", „გატაცებულად ქალის სიყვარული", „დაფარული ფიქრები", „პრანჭვა და გრეხა", „ფილოსოფიური სახე და აზრი", „სამშობლოს სიყვარული", „წყლული უფულობისა გამო", „შური". ეს უკანასკნელი წარწერა როგორღაც არ მეჭაშნიკა და უარი ვყავი—ეგ ჩემი გული არ არის მეთქი. მე და შური შორი-შორსა ვართო, ვეუბნებოდი. ანგელოზმა გაიცინა. ალბათ ვერ შეგინიშნია შენი, თავისათვისაო, ქართველი არა ხარო?.. ნამდვილი ქართველი გახლავარო, ვუპასუხე. მაშ რაღას ლაპარაკობ, შე დალოცვილოვო, სთქვა მან და გაჰქრა... არც ეს მიკვირს.

—

ის-კი გამიკვირდა, ღვთის წინაშე, რომ ჩემი დედა-კაცი თან-და-თან ფერს იცვლის. დღესნამდე იმისაგან თავი მქონდა მობეზრებული: ეს საკაბე მიყიდე ამა და ამ ფარჩისა, ამ ჯურის ფეხ-საცმლები ასეთი ბეჭედი, ისეთი სამაჯურიო; აქ „ვეჩერში" წამიყვანეო, მოწყენილი ვარ, გართობა მესაჭიროებაო. დღეს სრულიად სხვას ამბობს: რაც მაცვია, ესეც საკმარისია. წიგნები მიყიდე, ქართული წიგნები საშინლად მინდა ვიკითხო, გავიგო რამ ქვეყნიერობისაო. გამიკვირდა რასაკვირველია და გაოცებით დაუწყე ცქერა. ჩავვარდი საგონებელში: საიდამ რა ღვთისწყალობა დამეცა თავზე მეთქი... ბოლოს მიზეზიც გავიგე და ესეც გამიკვირდა, რომ დედაკაცზე ნათქვამს სიტყვას ასეთი ძალა ჰქონია. ერთხელ ჩემი ცოლი ერთს „ვეჩერზე" გახლდათ. იქ თურმე გამოჩნდნენ იმისთანა ღვთის ნიერი ადამიანები, რომ ლაზათიანად გამოლანძღეს ჩემი კუდაბზიკა მეუღლე: „შენ, ქალბატონო,—უთხრეს თურმე იმათ,—რომ მაგრე აყვავებული დასდიხარ და ქმარი-კი დაბრანძული დაგყავს, იმდენი ფული აღარ შაანარჩუნე, ჯიბეში თამბაქო იყიდოს და „ღღიურების" წერის დროს თავი შეიქციოსო, როგორა არ გცხვენიანო; ადგენ თურმე ის სულ-კურთხეულის შვილები და მოიკვეთეს ჩემი პრანჭია,—დაადგინეს, არა დროს ჩემი ცოლი არ მიიღონ არსად „ვეჩერზე", არა სადილზე ამ უსამართლობისათვის. მოდით და ნუ გაგიკვირდებათ ამისთანა ამბავი.

—

სამარას მაზრის საერობო გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ ხარჯი ჭირნახულით იქმნას აკრებილი, და არა ფულითაო.

## უცხოეთი

**საფრანგეთი**. რუსეთის ესკადრის აფიცრებისათვის გამართულ წვეულობაზედ რუსეთის ელჩის გარდა, არა სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელნი არა ყოფილან, თუმცა, ყველანი თავის მთავრობის ბრძანებით, პარიჟში არიან. ამ ამბავმა ბევრი ლაპარაკი გამოიწვია, მაგრამ მწერალთა კომიტეტი მოვალე არ არის დიპლომატები დაჰპატიჟოს და ისე მრავალნიც არიან, რომ ყველა მათგანის მიწვევა საძნელო იქნებოდა და ამორჩევა ხომ შეუძლებელიაო. დიპლომატები იქნება დაჰპატიჟოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, როცა ბალს გამართავს ესკადრის აფიცრებისათვის. იქნება სწორედ იმ მოსაზრებით მიანდეს მწერალთა კომიტეტს ესკადრის აფიცრების გამასპინძლება, რომ ერთის მხრივ სხვა სახელმწიფოების წარმომადგენელნი არ გავრიოთ რუსფრანგთა დღესასწაულში და მეორე მხრივ მათი წყენაც ავირიდოთო.

—

**ინგლისი**. გაზეთი „Daily News“-ის 2 ოქტომბრის ნომერში, მეთაურ წერილში დაბეჭდილია: დიდი უგუნურება იქნებოდა შეგვემცირებინა ტულონის დღესასწაულების მნიშვნელობა. ყველა ცნობებიდგანა სჩანს, რომ მთელი საფრანგეთი დიდად მოხარულია, რადგანაც მოიპოვა ერთგული მეგობრობა რუსეთისა. ამასთანავე საფრანგეთი და რუსეთი გადაჭრით ამბობენ, ომის წინააღმდეგნი ვართ და მშვიდობიანობის მომხრენიო. მთელი ევროპა ეხლა სამ ბანაკს წარმოადგენს: სამთა კავშირი, რუსეთი და საფრანგეთი და ინგლისი. ამ გვარად შეუძლებელია, რომ ომი მოხდეს თითოეულ სახელმწიფოს შორის და თუ ვინიცობაა მართლა მოხდა ომი, მთელს ევროპას მოედება. ხოლო საფრანგეთისა და რუსეთის კავშირი უტყუარი საბუთია მშვიდობიანობისაო. დასასრულ ზემოხსენებული გაზეთი ამბობს, სამწუხაროა, რომ ტულონის დღესასწაულები და ინგლისის ესკადრის მისვლა იტალიაში ერთსა და იმავე დროს მოხდაო.

—

**გერმანია**. ამ ჟამად გერმანიაში ძლიერ არის გახურებული აგიტაცია რუსეთსა და გერმანიას შორის სავაჭრო ხელშეკრულობის წინააღმდეგ. აგიტაციაში მონაწილეობას იღებენ მიწის მწარმოებელნი, ეგრედ-წოდებულნი აგრარიები. აგრარიები ჰმართავენ კრებებსა და მიტინგებს, ვითომდა პრუსიის ლანდტაგის მომავალ არჩევანების გამო ვიკრიბებითო, ნამდვილად-კი ხელშეკრულობის წინააღმდეგ აგიტაციებსა ჰმართავენ.

ამას წინად გალლეში მომხდარმა აგრარიების კრებამ, რომელსაც სხვათა შორის გრაფი ჰერბეტ ბისმარკიც დაესწრო, დაადგინა:

გერმანიის სასოფლო მეურნეობას არ შეუძლიან აიტანოს ის ვითარება საქმისა, რომელიც მაშინ ჩამოვარდება, თუ ვინიცობაა სავაჭრო ხელშეკრულობის ძალით, რუსეთიდგან მოტანილ პურის ბაჟი დასწიეს. რუსეთი დასჯაბნის ჩვენს მეურნეობას, რადგანაც იქ, ჯერ ერთი მუშა კაცის შრომა ძლიერ იაფია, მეორე, რუსეთის მეურნეობა ცარცვა-გლეჯაზეა დამყარებული და, მესამეც რუსეთის ფული ძლიერ იაფია. ამიტომ ვთხოვთ მთავრობას, დარჩეს ეხლანდელი ბაჟი რუსეთის პურზედ და გარდა ამისა, რამდენადაც თანდათან დაიწევს რუსეთის ფული, ამ ბაჟს კიდევ თანდათან მოვუმატოთ.

კრების შემდეგ გაიმართა ნადიმი, წარმოთქმულ იქმნა სადღეგრძელოები თავ. ბისმარკისა, გრაფის ჰესბერტ ბისმარკისა და აგრარიების სხვა გამოჩენილ მეთაურთა.

ბუტენგჰიმში კიდევ გლეხები შეიკრიბნენ და გადასწყვიტეს: ჩვენ, გლეხები, ამით ვაცხადებთ, რომ სულითა და გულით წინააღმდეგნი ვართ რუსეთისა და გერმანიას შორის სავაჭრო ხელშეკრულობისა, რადგანაც ეს ხელშეკრულობა დაჰღუპავს გერმანიის სასოფლო მეურნეობას; ვუცხადებთ ჩვენს განუსაზღვრელს უკმაყოფილებას იმ მთავრობასა, რომელსაც ჰსურს განაგრძოს ავსტრიასთან და იტალიასთან აწინდელი სავაჭრო პოლიტიკა და ვითხოვთ, დათხოვნილ იქმნას ის კანცლერი, რომელსაც არა ესმის-რა სასოფლო მეურნეობისა და ისე იქცევა, რომ უეჭველად დაღუპავს ამ მეურნეობას.

—

**ავსტრი-უნგრეთი**. ვენაში ლაპარაკობენ, შესაძლებელია პარლამენტი დათხოვნილ იქმნასო.

ბუდა-პეშტიდგან იუწყებიან, რომ 1 ოქტომბერს პარლამენტის წარმომადგენელთა პალატაში დიდი უთანხმოება მოხდა მინისტრ-პრეზიდენტისა და ოპოზიციის მეთაურის აპონიას შორის. უკანასკნელი შეეკითხა პალატას, მთავრობის წარმომადგენელნი რატომ არ დაესწრნენ ვონვედების ძეგლის აგებას, რომელნიც 1848 წელს იქმნენ დახოცილნიო? ამ საქმის გამო კამათობა ასტყდა აპონიასა და ვეკერლეს შორის

—

**ოსმალეთი**. გაზეთები იუწყებიან, რომ სტამბოლის სასანიტარო საბჭოს კრებაზედ ამ დღეებში შემდეგი უსიამოვნო ამბავი მომხდარა:

კრებაზედ წაკითხულ იქმნა ხონთქარის ეპისტოლე, რომელშიაც იგი ძლიერა ჰკიცხავდა საერთაშორისო სასანიტარო წევრთა მოქმედებას ხოლერის შემოტანის გამო ევროპაში. ამ ეპისტოლეს კითხვის დროს წამომდგარა რუსეთის წარმომადგენელი ბ-ნი იაკოვლევი და უთქვამს, სრულიად არა მსურს მოვისმინო ხონთქრის საყვედური, სასანიტარო საბჭოს წევრებისადმი მიმართული, რადგანაც ოსმალეთის ქვეშევრდომი-კი არა, რუსეთის წარმომადგენელი ვარო. ამ სიტყვების შემდეგ ბ-მა იაკოვლევმა კრება მიატოვა.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

გერმანიის ქალაქ შტეტინში 1 და 2 ოქტომბერს ხოლერით ავად გახდა 20 კაცი და მათ შორის 5 გარდაიცვალა.

**

პორტუგალიაშიც აღმოჩნდა ახალი ჰანამა. გაზეთები იუწყებიან, რომ ინჟინრები და იჯარადარნი ბერძო კაცებზედა ჰყიდნენ იმ მასალას, რომელიც საჭირო იყო სახელმწიფო შენობათა ასაგებად და რკინის გზების გასაყვანადაო, ასე რომ სამინისტრო იძულებული იყო რამდენჯერმე ფული გადაეხადნა ერთსა და იმავე მასალაში. აქამდე გამორკვეულია, რომ ინჟინრებსა და იჯარადრებს ამ გვარად ხაზინიდგან მოუპარავთ 150,000 მანათამდე. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ამ ქურდობაში ძლიერ ბევრს კაცს მიუღია მონაწილეობა. გაზეთები ამბობენ, კიდევ ბევრს რასმე გამოაშკარავებთ, თუ მთავრობამ საქმე როგორმე ჩაავფუჩება და დამნაშავენი არ დასაჯაო.

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

მიხეილის საავადმყოფოში ოქტომბრის 8-ს დილით 5 ხოლერით ავადმყოფი იყო.

ოქტომბრის 8-ს ხოლერით ავად გახდა 1.

ამავე დღეს მიხეილის საავადმყოფოში ხოლერით გარდაიცვალა ერთი და დარჩა 5 ავადმყოფი.

რკინის გზის საავადმყოფოში ოქტომბრის 6-ს ერთს ავადმყოფთაგანს ჭიათურის შტოდგან ჩამოყვანილს ხოლერა აღმოაჩნდა.

ტფილისის გუბერნია

ტფილისის მაზრის სოფ. წინწყაროში ოქტომბრის 4—7-დე ხოლერით ავად გახდა 7 კაცი და 4 გარდაიცვალა.

ბაქოს გუბერნია

ბაქოში ოქტომბრის 6-ს ხოლერით ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 და მორჩა 1.

ერევნის გუბერნია

სოფ. იგდირში ოქტომბრის 6-ს ხოლერით ავად გახდა ორი ყაზახი.

ქუთაისის გუბერნია

ქუთაისში სექტემბრის 26-დამ ოქტომბრის 2-დე ხოლერით ავად გახდა 1 და გარდაიცვალა 1.

შორაპნის მაზრაში სექტემბრის 26 ს 5 ხოლერით ავადმყოფი იყო, ერთის კვირის განმავლობაში კიდევ ავად გახდა 5 კაცი, მორჩა 2, გარდაიცვალა 3 და ოქტომბრის 3-ს დარჩა 5 ავადმყოფი.

ბათუმის ოლქში სექტემბრის 26-დამ ოქტომბრის 2-დე ხოლერით ავად გახდა 1 კაცი, გარდაიცვალა 1.

## გასართობი

### ელეგია

I

თუ რომ მთვრალი ხარ, გირჩევ: შინ იყავ,
არ გამოხვიდე მაშინ ქუჩაში,—
თორემ,—გარწმუნებ,—მარდი მოხელე
წამსვე გაგგზავნის პოლიციაში.

II

მაგრამ შიმშილით თუ გეწვის კუჭი,
არ გაქვს ჯიბეში არც ერთი გროში,—
გზა გაქვს ყველგანა... მშიერ-მწყურვალთან
ვის რა საქმე აქვს ეხლანდელ დროში?!..

ვითომ-და პოეტი

## გამოსადეგი ცნობანი

—

თითბრისა და ვერცხლის გაწმენდა. ზოგჯერ თითბრის ჭურჭლის გაწმენდა გაუძნელდებათ ხოლმე და ამისათვის ან ქვიშითა და დანაყილ აგურით დაუწყებენ ხეხვას, რაც ავნებს, უეჭველია, სცვეთავს, ან სხვა-და-სხვა წამლებს უიღულობენ, რომელთაგან ზოგი შხამიანიც არის. საუკეთესო საწმენდი-კი ყველა სოფელსა და ქალაქებში მოიპოვება —ჟაუნა. ჟაუნის ფოთოლი მაგრა წაუსვით ჭურჭელს და კარგად გაპრიალდება. ამავე ფოთლებით გაიწმინდება ვერ-

---

დღეს შემოვიდა ჩემთან ჩვენი სოფლის მასწავლებელი N თავის გახეხილის პალტოთი და შებოლილის შლაპით, გაწეწილ-გაპოხილის თმებით და დაღვრემილის სახით. ცოტა არ იყოს, ჩემ ნაირი კაცია, იმასაც გულში აქვს ჩაკლული ბოღმა, გულში ჰგოდებს, მაგრამ ნიჭი განკვირვებისა არ დაჰკარგვია. დიაღ შემოვიდა და ჩემდა საოცრად დაიწყო: გაბრიელ, დღეს სპენსერის „Основанія соціологіи“ გავათავე და რა დასკვნამდე მივედი, იცი?! გამოდის, რომ სხვა-და-სხვა ხალხს, ერთი-ერთმანერთთან დამოუკიდებლად მცხოვრებელს, სხვა-და-სხვა ჯიშისას, ერთნაირი ჩვეულებანი ჰქონიაო,—მსგავს ბუნების პირობების მსგავსად, ერთნაირად უმოქმედნია ყველა ერზე და მსგავსი შედეგი მოუპოვებია. ხოლო ეს მიკვირსო, განაგრძო მან: ჩვენ, ქართველები, მამლის ყივილს „ყიყლიყოს“ ვეძახით და რუსები «კუკურეკუ“-სო. ამიხსენი ეს, კარგად იფიქრე: ჩვენც ყურები გვაქვს, გვესმის ხმა და რუსებსაც. რისაგან მოხდა, რომ ჩვენ „ყიყლიყო“ ყიყლიყოდ გავიგონეთ და იმათ-კი „კუკურეკუდა“ო? ამ დროს მამალმა დაიყივლა. „აბა დაიყურე, თუ მართლა „ყიყლიყოს“ არ იძახის, გარკვევით, მკაფიოდ!“

მე გამიოცდა და გაკვირვებით დაუწყე ცქერა ჩემს მეგობარს, ხოლო პასუხი არ მიმიცია, არამედ მისი კითხვა, ავსდექი და ჩემს დღიურში მოვაქციე.

—

სადღიურო რაც არის, კინაღამ დამავიწყდა. მართალია, წარმოსადგენად ძნელია, მაგრამ უნდა წარმოიდგინოთ. რა წარმოვიდგინოთო? იკითხავთ. ისა, რომ მე და სარდიონი დამეგობრებას ვაპირობთ. იქმნება აღარ გახსოვთ სარდიონი,—ჩვენი ლოქოფაჩა? აფსუს! დოვლათისა და კაცობის პატრონი კაცო, როგორ მალე გვიიწყებს უიჩრო ქვეყანა...

თქვენ არ იცით და ვერც წარმოიდგენთ, სარდიონს როგორ უნდა დედაკაცებთან ცნობა-მეგობრობა იქონიოს. მაზრის წვრილ-ფეხა „ჩინონიკებს“ იცნობს კიდეც, ღვთის წინაშე, რადგანაც უმასპინძლდება ხოლმე დუქნებში და სარდაფებში. ამით თავი მოსწონს სარდიონს: „კაცები მიცნობენ, პატივსა მცემენო“. გუშინ მთელი „ჩინონიკობა“ მყავდა დაპატიჟებულიო, უამბებს ხალხს და ისეთი დროება ვატარებინე და ისეთი მადლობელი დამრჩენ, მეტი არ შაიძლებაო. მსხვილები ცოტას ვერა სწყალობენ, რადგან ისინი ვერ ურიგდებიან მის ოინბაზობას. სარდიონს რა მოაგონებდა, სიზმარში-კი მოელანდებოდა თუ საწყალს გაბრიელს, თუმც არც ვის პატივსა სცემს და არც უმასპინძლდება, მაგრამ ყველანი მაზრის მოხელენი დიდნი და მცირენი ათასჯერ მეტად პატივსა მცემენ, ვიდრე სარდიონს. დიაღ, ვერ იფიქრებდა ლოქო-ფაჩა ამას და კიდეც იმიტომ დარჩა გაოცებული, რომ მე ამ საწყალს გაბრიელს მაზრის უფროსიც მომეგება და მაზრის მსაჯულიც, ხელიც ჩამომართვეს და სადილადაც დამპატიჟეს. სარდიონიც იქ შორი-ახლოს, სახლში იდგა ამ დროს და უნდა გენახათ მაშინ სარდიონი, როგორ მოუსვენრად ტრიალებდა ერთ-ალაგას, აფათურებდა თვალებს, სძაბავდა კისერს, რა არიეგები მეც დამინახონ, მეც მომესალმონ, რომ ხალხმა მნახოსო, დარწმუნდეს ყველა რაც კაცი ვარ, გაიგონ ყველანი მიცნობენ და ყველანიც პატივის ცემით მეპყრობიანო. ამაო იყო მისი შრომა, თვალებში სისხლი მოადგა შურისა და სიბრაზისაგან. ვინ იცის რას ფიქრობდა სარდიონი გული-გულში! როგორ ვეჯავრებოდი მაშინ სარდიონს, თქვენ არ იცით. „ვერ უყურებთ მაგ ტარტლიანს, ვერ უყურებთ, კვნესოდა სარდიონის გული. როგორ ესალმებიან, თითქოს ღერენალსაო“.

აი ამის შემდეგ სარდიონი სხვანაირად მიცქერის, ცოტა არ იყოს, გულში შიშიც ჩაუვარდა. ლოქო-ფაჩა ხომ მხდალია, მეტის-მეტად მხდალი. რა-კი თავის წითელის თვალებით დაინახა, რომ მე თურმე ბობოლები მიცნობენ, იფიქრა: ეგ-გაბრიელა, თუ მოინდომა, მავნებს, ჩემს საქმეში ხელს შემიშლისო და მაშასადამე უნდა მოვეფეროვო...

დღეს შემხვდა და სალამი ვერ დავასწარი: გაბრიელს ვახლავარო, ეს „ვახლავარი“ მაკვირვებს. ამას არ იტყოდა, იქ რომ სხვაც ვინმე ყოფილიყო, მაგრამ სთქვა იმიტომ, რომ ჩემი გული მოეგო და თავისი აზრიც არ გაეტეხა.

— ახ, გაბრიელ, ერთი შენი სწავლა მე მომცა, სთქვა სარდიონმა და ჩაიკრა გულში ხელი.

— რას აქნევდი, რაში გამოიყენებდი მეთქი.

— ვოჰხმე, ვოჰხმე! რად მინდოდა! მთელს სოფელს თუნდ აქეთ უზამდი თავს, თუნდ იქით. ახ, ვერა ჰხმარობ სწავლას, ნუ-კი გეწყინება, გაბრიელო, ვერა. ქვეყანა სათლელი დუმაა, მოთალე შე კაი კაცო, სწავლული კაცი რადა სცდები ტყუილად. ვოჰხმე, ვოჰხმე. ჩაიკრა კვლავ გულში ხელი სარდიონმა: წაწყმდეს მამა ჩემიო, სთქვა მან; ამოვარდეს საფლავიდამ, რატომ რუსული არ მასწავლა. ჩემისთანა ნიჭიერი კაცი ურუსულოდ უნდა იყოს: ახ მამა ჩემო! ახ მამა ჩემო! თქვენისთანაებს მაშინ ხელსაც არ დავაბანინებდი. რა უყო ეხლა? მაგრამ მადლობა ღმერთსა, ეს გონება და დოვლათი ხომ კარგი მაქვს... არა, კაცი ვარ მაინც, კაცი ვარ, უნდა შენც კაცად მიცნო. არ გამოდგება, გაბრიელ მტრობა და ერთმანეთში შურის ძიება. ვიყვნეთ ძმურად: გამარჯვება-გაგიმარჯოს. იმ დღეს ლაპარაკი გვქონდა შენზედ ჩინონიკებთან. მე კიდეც ვუთხარი, ცამდე აგიყვანე, გაბრიელისთანა ნასწავლი კაცი ძვირად მოიძებნება, მაგრამ ვეია ხმარობს თავის სწავლას მეთქი, ვსთქვი და ეხლაც ვამბობ. ეს რომ გაათავა სარდიონმა „ზაკუსკაზედაც“ დამპატიჟა თავის დუქანში. მაგრამ მე უარი ვუთხარი... ასე სჯობია. რამდენჯერაც დამპატიჟებს, არ ვეწვევი, თუმც შეხვედრის დროს ძმურის სალამს არ დავუძვირებ,—ამით დავსჯი მე სარდიონს,—ამით თუ შევა ეჭვში, რომ ალბათ იმის ტოლი და ყადრი არა ვარ, ამით ხათრსაც ჩაუგდებ გულში, მხოლოდ იმ დრომდე-კი, მანამ მაზრის უფროსი და მსაჯული მიცნობენ.

ნარ-ეკალა

ცხლის აგეჯი, მეტადრე გვერცხისაგან ნაშაკებული.

—

კარტოფილის ფქვილი, როგორც ლაქის ამომყვანი. კარგი ახალი კარტოფილის ფქვილი ტილოს ნაჭერში შახვიეთ, დაასველეთ ცხელ წყალში და დალაქავებულ ადგილს კარგად წაუსვ-წამოუსვით. ეს საწმენდი მეტად კარგია დალაქავებულ მაუდისათვის. თუ კარტოფილის სინთელი დაეღვენთა მაუდს, ფრჩხილით ან მჭლით აფხიკეთ და ცხელ წყალ დასხმული კარტოფილის ფქვილი დაადეთ. როდესაც ფქვილი გაშრება, აატალეთ და გადასწმინდეთ. მაუდი სრულიად გასუფთავდება.

## სამეცნიერო ნაწილი

—

ერთმა გერმანელმა მეცნიერმა შემდეგი საყურადღებო ამბავი გამოაცხადა. იგი სწერს, რომ ყავა ძლიერ კარგი წამალია ავადმყოფ ცხენებისთვინაო. ეს მოხსენება მეცნიერისა დამყარებულია შემდეგ ამბავზედ. ერთს კაცსა ჰყავდა ავადმყოფი ცხენი, რომელიც ისე იყო გამხდარი და მილეული, რომ ფეხებს ძლივსღა მიათრევდა, ერთის სიტყვით, ჩონჩხსა ჰგავდა. პატრონმა ეს ცხენი 60 ფრანკად გაჰყიდა. მყიდველი მკურნალი ყოფილა და მაშინვე შესდგომია ცხენის წამლობას, ყოველ დღე ყავას აჭმევდა, ხან ცალიერსა და ხან თაფლით. ცხენი ძლიერ მალე მოსულიერდა, გალონიერდა, გასუქდა და პატრონმა რამდენსამე კვირის შემდეგ გაკეთებული ცხენი 1,250 ფრანკად გაჰყიდა. კიდევ ბევრი ცხენი მოურჩენიათ თურმე ყავით.

# დეპეშა

8 ოქტომბერი

**პარიჟი.** რუსეთის ესკადრა რომ ტულონს მოვიდა, კარნომ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს: „გულითად მოვალეობად მიმაჩნია მადლობა გამოვუცხადო თქვენს უდიდებულესობას და გამოვხატო ჩემი განუსაზღვრელი სიხარული იმის გამო, რომ კვალად დამტკიცდა თანაგრძნობა, რომელიც აკავშირებს რუსეთსა და საფრანგეთს.“ ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგის დეპეშით უპასუხა პრეზიდენტს კარნოს: „პასუხად თქვენს თავაზიანს დეპეშაზედ, ვისწრაფი განვაცხადო, რომ დიდად ვსიამოვნებ ჩემის ესკადრის წამოსვლით საფრანგეთის იმ სახელოვან ზღვაოსანთა სანახავად, რომელნიც კრონშტადტში იყვნენ.

ხელმწიფე იმპერატორმა რომ საფრანგეთის გემები დაათვალიერა კოპენჰაგენს, კარნომ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს: მთელი საფრანგეთი დიდის სიხარულით მიიღებს ახალს ამბავს თქვენის ყურადღების და თანაგრძნობისას. ვკისრულობ რა მის გრძნობის გამოხატვას, გულითადს მადლობას ვუძღვნი თქვენს უდიდებულესობას.

დღეს წვეულება იყო რუსეთის ზღვაოსანთა პატივსაცემლად. მოპატიჟებული იყო 564 კაცი. რესპუბლიკის პრეზიდენტი და რუსეთის ელჩიც დაესწრნენ. სადილის დროს კარნოს მარჯვნივ ბარონ მორენჰეიმი იჯდა, მარცხნივ—აველანი. სადილს შემდეგ შეგროვდა ხალხი, 50,000 კაცამდე და თანაგრძნობა გამოუცხადეს რუსის აფიცრებს. საღამოთი ქალაქი საუცხოვოდ იყო გაჩირაღდნებული.

9 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდი მთავრინანი ქსენია და ოლგა ალექსანდრეს ასულნი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე გუშინ საღამოს 7 საათზედ გატჩინოს მობრძანდნენ.

**პარიჟი.** რუსის ესკადრის აფიცრები Figaro-ს რედაქციაში მივიდნენ სადაც კონცერტი იყო ღამის 3 საათამდის. კვირას ყველა ეკკლესიებში გარდახდილ იქმნება სამადლობელი პარაკლისი რუსეთით აფიცრების მისვლის გამო. რუსეთის მთავრობის ნებართვით, აფიცრები დაესწრებიან მაკ-მაჰონის ანდერძის აგებაზედ. აფიცრებმა პარიჟში დაათვალიერეს და ყველგან ხალხი აღტაცებით მიეგება.

**ტარანტო.** ინგლისის ესკადრა აქაურ ნავთ-სადგურიდგან წავიდა.

პეტერბურგის ბირჟა, 8 ოქტომბ.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ნუთ-მანათიანი ოქრო | 7.65 | 7,68 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 153 | 153 3/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 240 1/4 |
| —მეორისა . . . | — ,, | — ,, | 216 1/2 |
| 4% მესამე სესხისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 192 1/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა 6% . . . . | — ,, | 100 1/2 | — ,, |
| 5% . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — ,, | 100 1/4 | — ,, |
| 5% . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | 98 1/4 | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.
ბათუმიდგან ტფილისს მოდის . . 9 52 წ. საღ.
. . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.
ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ შუადღ.
ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.
განჯიდგან ტფილისს მოდის „ . . 1 ს. 30 წ. დილ.
ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

ბათუმიდგან გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში კერჩში და ყველა ნავთსადგურში სამშაბათობით: ღამის 2 საათზედ.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

ბათუმიდგან საფოსტო და სახალხო კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—

## თეატრი

—

სახაფხულო—კვირას, 10 ოქტომბერს, დანიშნულია „ტრავიატა“ ოპერა 4 მოქ. დასაწყისი 8 საათზედ.


# განცხადებანი

კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—111)

ბალახეულის კარამელი

ხველების წამალი

**„პექტო ბონს“**

ზ. სემადენისა, კიევში

უმთავრესი საწყობი Александра Венцель, С.-Петербургъ, Гороховая, № 33. ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებში და აფთიაქების მაღაზიებში.

ფასი რკინის კოლოფისა 25 კაპ. M. (20—4)

**„სიჭაბუკის ცოდვა“**

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენცისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

# გამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოიანი, 9—10 1/2 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10 1/2—11 1/2 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, 11 1/2—12 1/2 საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1 1/2 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7 1/2 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

1894 **წლის იანვრიდგან**

გამოვა ყოველ თვიური ქართული ჟურნალი

# „მოამბე“

შემდეგის პროგრამმით:

I სიტყვა კაზმული მწერლობა ორიგინალი და ნათარგმნი რუსულიდან და უცხო ენებიდან: რომანები, მოთხრობები, ამბები, ლექსები, პოემები, დრამატიული თხზულებანი და სახალხო სიტყვიერების ნაწარმოები.

II ისტორია, გეოგრაფია, არქეოლოგია, ბიოგრაფია შესანიშნავის კაცებისა, საერო მეურნეობა, მართლ-მსაჯულება, შესანიშნავი სამჯავრო პროცესები

III სასოფლო მეურნეობა: სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ სტატიები და კორესპონდენციები.

IV კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ქართულის, რუსულისა და უცხოეთის სალიტერატურო და სამეცნიერო თხზულებათა შესახებ.

V ქრონიკა: ახალი ამბები შინაურის და უცხო ქვეყნების ცხოვრებიდან.

VI ნარევი.

VII განცხადებანი.

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

ერთის წლით—10 მან., ექვსის თვით—6 მ., სამის თვით—4 მ.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ:

აკაკი, ნ. ავალიშვილი, არაგვისპირელი (ფსევდონიმი), ი. ბაქრაძე, კ. ბაქრაძე, ბაჩანა (ფსევდონიმი), ეკ. გაბაშვილისა, ი. გოგებაშვილი, დონ-იაგო (ფსევდონიმი), დუტუ მეგრელი (ფსევდონიმი), დიმ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა (ფსევდონიმი), გრ. ვოლსკი, თავისუფალი სვანი (ფსევდონიმი), ექ. თაყაიშვილი, გ. იოსელიანი, დ. კარიჭაშვილი, კირ. ლორთქიფანიძე, გ. მაიაშვილი (ფსევდონიმი), პროფესორი ნ. მარრი, სოფ. მგალობლიშვილი, მეველე (ფსევდონიმი), მელანია (ფსევდონიმი), პროფესორი პ. მელიქიშვილი, ი. მესხი, ნ. მთვარელიშვილი, შ. მღვიმელი (ფსევდონიმი), ა. ნანეიშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ე. ნინოშვილი (ფსევდონიმი). ნინო ორბელიანისა, თ. რაზიკაშვილი, გ. საძაგლიშვილი, პ. უმიკაშვილი, ნ. ურბნელი (ფსევდონიმი), ი. ფერაძე, ა. ფრონელი (ფსევდონიმი), ან. ფურცელაძე, ს. ღოღობერიძე, მ. ყიფიანი, ს. ყიფიანი. გრ. ყიფშიძე, ი, ჩიქოვანი, ცახელი (ფსევდონიმი), ანას. წერეთლისა, გ. წერეთელი, ილ. ჭავჭავაძე, ა. ჭიჭინაძე, ა. ხახანაშვილი, მ. ხელთუფლიშვილი, ი. ხონელი (ფსევდონიმი), ნ. ხუდადოვი, ს. ხუნდაძე, ა. ჯაბადარი, ი. ჯაბადარი, მ. ჯანაშვილი და სხვანი.

ხელის მოწერა მიიღება თვით რედაქციაში, რომელსაც უნდა მიჰმართოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала „Моамбе“.

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული და ან შესწორებული იქმნება. ხელნაწერები, რომელიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში; მერე კი ველარ მოსთხოვენ რედაქციას. არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდის ნაშუადღევს.

რედაქცია იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, № 13. ადრესი ტელეგრამებისათვის: Тифлисъ, Редакція «Моамбе».

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი ნიკოლოზ ღოღობერიძე


Доз. ценз. Тифлисъ, 9-го Октября 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე